

572/2  
1959



# ლოცვა

„თუ ვინც, ბავშვ ძაღვს,  
აღვსინე, თუ ვინც მხარს,  
და პირა, ჭრბიველი, სწავლიდა  
სამშობლოს კაცობრივს“

№ 8

საბჭოთავო კავშირის საბავშვო გაზეთი და  
მ. ი. კობახიძის სახელობის მწერის პედაგოგიკის  
ინსტიტუტის გამომცემლობის საბავშვო შტაბი

საბჭოთავო  
1959

# უკიდურული



# ნ

ვენო ზატარავ! შენ, ალბათ, სმირად გსმენია უფროსებისაგან სიტყვა „შვიდწლოდი“, ძაგრამ შესაძლებელია არ იცოდეს, რას ნიშნავს ეს სიტყვა. „შვიდწლოდი“ — შვიდი წელიწადი. როცა უფროსები შვიდწლოდს ელაპარაკებენ, შვიდწლიანი გეგმას გულისხმობენ.

გეგმა, სომ იცით, რა არის? როცა წინასწარ იცით, თუ რა უნდა ვაკეთო სხვალ, რომელ საათზე ადგე, როდის წასვიდე სკოლაში, როდის მოამზადო გაკვეთილები, ეს შენი გეგმაა. შენი უფროსი მეგობრები ზიონურებიც ადგენენ საშუალო გეგმას, წინასწარ მოიფიქრებენ სოლმე, თუ სად წავიდნენ ექსკურსიასე, როდის მოაწუნ შეგებ, რა სათა-

მაშო დაამზადონ ოქტომბრელებისათვის. ჩვენმა მთავრობამ და კომუნისტურმა

ზარტიამ შვიდწლიანი გეგმა შეადგინეს. ამ გეგმაში გათვალისწინებულია, თუ რამდენი ახალი ფაბრიკა და ქარხანა უნდა აშენდეს ჩვენს ქვეყანაში. ამ ფაბრიკა-ქარხნებში ბევრ, ძალიან ბევრ ახალ მანქანას და ნივთებს, ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს დაამზადებენ.

აიგება ახალი ჰიდროელექტროსადგურები, საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები, სკოლები.

გაიუვანენ ახალ სარწმუნო არსებს, რომ უფრო აუვაჯდეს ჩვენი ბავშვანსები, გაიუვანენ რკინიგზის ახალ ლიანდაკებს და საავტომობილო გზებს.

ასეთი გეგმიანი მუშაობა საჭიროა იმიტომ, რომ კიდევ უფრო გამდიდრდეს და





7738

გალამაზდეს ჩვენი დიადი სამშობლო და ჩვენ ეველანი უფრო უკეთ, უფრო საამჟრად ვცხოვრობდეთ.

სომ საინტერესოა იცოდეთ, თუ რა ვაკუთდება ამ შვიდი წლის მანძილზე საქართველოში? გინდა, ვიმოგზაუროთ შვიდწლედი? ნუ განვიკრებ! ეს არც ისე ძნელი საქება. აი,

„ჩავსდეთ“ ჩვენს ზღაპრულ საპარო-სომალდში, გადავუკროლოთ ქურნალის ფურცლებს და ბეგრ საინტერესოს ვნა-ნავთ და გავუცნობით. რა თქმა უნდა, ეველათურს ვერ გავუვადებით, რადგან, ჩვენი რესპუბლიკის შვიდწლიანი გეკით რაც არის კათვალისწინებული, იმას ერთ ქურნალში კი არა, ათ ქურნალშიც ვერ აღვწერთ.

აბა, იქვარე, ბჭარავ, ჩვენი საპარო სომალდი მხად არის გასა-ჭურნა!

მამ, გავსწით!

ნახტი მ. სამსონიძის



ე

ე იზოლატორი მქვია. ალბათ შეგიმჩნევიათ კიდევ, მაღლა ბოძზე ვარ მოკალათებული. ჩემს გვერდით ალვის ხის კენწეროები შრიალებს. დაბლა კი, სულ დაბლა სოფელია ვადაშლილი. მაღლიდან ხელისგულივით მოჩანს ელექტრონით გაჩახჩახებული ორღობეები და ახალი ოდა-სახლები, სკოლა და კლუბი.

ჩემს პირდაპირ გიგლა ბიჭის ფანჯარაა. ყოველდღე ვხედავ ჩემს პატარა მეზობელს, დილით სკოლისაკენ რომ მიეშურება, ანდა ტოლებთან თამაშობს, საღამოთი კი სინათ-

ლეს ჩართავს და სამეცადინოდ მიუჯდება მაგიდას. მუამაყება და მიხარია. ის მავთული, რომლითაც სახლებში ელექტროდენი მიდის, ხომ მე მაქვს გაკიმული. გიგლა ბიჭი კი ისე ჩამივლის, თითქოს ვერც კი მამჩნევდეს; მაგრამ თქვენ გგონიათ, მართლაც ვერ მამჩნევს?

ამას წინათ ანცებმა ქვეები დამიშინეს. ერთმანეთს ეუბიბებოდნენ, ვინ უკეთ მამარტყამდა მიზანში. გიგლა ბიჭმა დაიფრინა ანცები და ძალიან გამახარა.

# ზოლოტორის სასკოლო



ნახატები ლ. ნოდინსი

იცის გიგლა ბიჭმა, ვინა ვარ, რატომ ვბინადრობ მაღლა ბოძზე ალვის ხის კენწეროებთან, რატომ მაქვს წელზე გადაკიმული მავთული.

ერთიც ვნახოთ, ქვა მომხვდეს და დამახსვრიოს, იცით, რა მოხდება? მავთული გაწუდება და ჩაუქრება გიგლა ბიჭს სინათლე, მარტო გიგლა ბიჭს კი არა, მთელ სო-

ფელს, იმ ანცებსაც, ქვით რომ არ მინდობ-  
დნენ.

პატარა ვარ, სულ პატარა, ტრახანად ნუ  
ჩამოპართმევთ და მეტად საჭირო კი ვარ.  
აი, ამ მავთულში, მე და ჩემს და-ძმებს  
რომ გვაქვს გაჭიმული, დენი ვადის,  
ელექტროდენი. დენი, ხომ იცით, რა საში-  
შია, კაცსა ჰკლავს, ხანძარსაც აჩენს. ჰოდა  
ჩვენც სწორედ ამიტომ ვართ, რომ დენმა  
არავინ დააზიანოს, დენს ან ვატარებთ. ჩვენ  
რომ არ ვიყოთ და მავთული პირდაპირ ბოძ-  
ზე იყოს მოხვეული, ხის ბოძი თუ დასველდა,

დენს ვატარებებს და  
მიწაში დიკარებებს.  
ხომ ხედავთ, რა საჭი-  
რონი ვყოფილვართ! ასიათასობით მე და  
ჩემი და-ძმები, ზო-  
გი—რკინგზის მა-  
გისტრალებზე, ზო-  
გი — ელექტროსად-  
გურებში, ქუჩებში,  
შენობებში ჯარის-  
კაცებივით ვდავა-  
ვართ სადარაჯოზე.  
ჩვენ, და-ძმები ვა-  
რეგნულად ყველა

ერთმანეთს როდი ვვავართ. ზოგი დიდია,  
ზოგი სულ პატარაა, ერთი ციქენა; ზოგი  
მრავალია ჩემსავით, ზოგი ქოლგასავით  
გაშლილი.

არ გაინტერესებთ, საიდან მოდის ჩვენს  
მავთულებში დენი? მდინარიდან, ჰოა, ჩვე-  
ულებრივი მდინარიდან. წისკვილი ხომ გი-  
ნახავთ! წყალს მოძრაობაში მოჰყავს ბორ-  
ბალი, ბორბალს—ქვა და იფრევება საფეხა-  
ვი. ელექტროსადგურში კი წყალი უზარმა-



ზარი მანქანის ბორბალს ამოძრავებს. ამ  
ამოძრავების შედეგად მანქანაში ელექტრო-  
დენი ჩნდება, მერე ეს დენი მავთულებით  
მოედინება ქალაქებსა და სოფლებში, სან-  
ლუბსა და ფაბრიკა-ქარხნებში.

დენი ნათურაში შუქად იცეცვა და შე-  
ნობას ანათებს. უთოს თუ ჩართავ—ვახუ-  
რებს, ფაბრიკა-ქარხნებში მანქანებს ამოძ-  
რავებს; დენით დადის ტრამვაი, ტროლეი-  
ბუსი და ელმავალი.

საქართველოში მრავალი ელექტროსად-  
გურია, ხომ ვაგვიჩინოთ ზაპესი, რიონჰესი,  
ორთაქალქესი და კიდევ სხვა მრავალი.

შვიდწლიანი გეგმით ახალი ჰიდროელე-  
ქტროსადგურები აშენდება მდინარე ზრამ-  
ზე, ცხენისწყალზე. დაიწყება ელექტრო-  
სადგურის მშენებლობა მდინარე ენგურზე.  
მარტო ენგურზე იმდენ დენს მოგვცემს,  
ჩამდენსაც საქართველოს ყველა ჰიდროელე-  
ქტროსადგური ერთად გვაწვდის დღეს.

ელექტროდენზე მოთხოვნილება ამ შვი-  
დი წლის მანძილზე ძლიერ გაიზრდება. სა-  
ქართველოში ელექტროხელსაწყოების მშ-  
საწარმო აშენდება.

ბათუმში დამზადდება მტვერსასრუტები,  
ზესტაფონში—მოტორები, თბილისში სად-  
ენები და მრავალი სხვა. თითქმის ყველა  
ოჯახში გაჩნდება მაცივარი და ტელევი-  
ზორი, მტვერსასრუტი, რადიომიმღები, სა-  
რეცხი მანქანა, და დამიანს შრომა ბევრად  
შემოსულებუქდება.

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა  
თორმეტჯერ უფრო მეტ ელმავალს დამზა-  
დებს. ფოლადის გზებით გააქროლებენ ისინი  
ვაკონებს სამშობლოს შორეულ ველ-მინდ-  
ვრებზე, და მოგუგუნე ქართულ ელმავლებს  
ჩემი და-ძმებიც მისცემენ ბანს.





# ახალი ქუჩა



მ. ლებანიძე

თელ დღეს წკრიადებდა ტელეფონი, მთელ დღეს წესრიგში მოჰყავდათ სამზარეულო, —საპატრიო სტუმარს ელოდნენ.

— თბილგაზია? — ჩასძახებდა ტელეფონის გახარებული დიასახლისი, — გედიო, გედიო, მობრძანდით!

შეღებეს კედლები — აღარ შეიკვარტლებოა, დაათურეს ქვაბები — აღარ გაშავდებოა... ნავთქურა კი ცაღკე დადგეს, დააძვრეს თავმომწვარი პატრუქები, ნავთისაგან დასცადეს და რალაცისათვის გაამზადეს.

ისევ წკრიადებდა ტელეფონი, ისევ წესრიგში მოჰყავდათ სამზარეულო, ისხდნენ თაროებზე ქვაბები და ტაფები, ჩამჩები და ქილები, ჩურჩულებდნენ; ხლდა არავინ იცოდა — რისთვის გაამზადეს ნავთქურა.

გათუნდა დილა, იგრიდა სადარბაზო კართან ავტომანქანამ, ამოიარეს კიბე მუშებმა და

შევიდნენ სამზარეულოში მძიმე რკინეულის ჩხარაჩხურით.


— ბაღლი მარცხნივ დადგით, ქურა — მარჯვნივ, მიღებით შეაერთეთ! — გასცა ბრძანებები ერთმა.

დატრიალდნენ მუშები.

— რა უცნაური წოწოდა ვინმეა, ჩემს დღეში მსგავსი არაფერი მიწახახავს, — თქვა გაბის ბაღლზე ძველისძველიმა სპირენძის ქვაბმა, რომელიც ასჯერ მაინც იყო მოკაღული და ყველა ქვაბის დიდგედა ითვლებოდა.

— ხაღხნო!

როგორ თუ



არ მინახავს! ნამდვილად საზარბაზნე ქურვია... აქ ომს ხომ არავინ გვიპირებს! — უპასუხა დიდგედა ქვაბს შვილიშვილმა, მაიმისეულმა პაწია აღუმინის კარდაღამ, რომელსაც ყველა ფრლტი მოვლილი ჰქონდა. ხლდა ახალთახალმა ჩაიდანმა სიცილით მიმართა ორივეს:

— დიდი ჩამორჩენილი ხაღხნი ბრძანებულხართ! ეგ ქურვი კი არა, ბაღლია, შიგ გაზია. გაზი თურმე საწვავი ნივთიერებაა, — ფერი არა აქვს, თვადით ვერ დაინახავ, მაგრამ ისე გიბგობებს, — ნავთი რას შეედრება! ის გაზი

მოდებს გამოჰყვება, აგერ ფეხებზე შემდგარი ქურა რომ დადგეს, იმაში გამოვა და ასანთით აბრიადდება. ამას ყველაფერს გაზის ქურა ჰქვია. და აი, ნახეთ, ვგ ვაუბატონი სარდაფში თუ არ ჩააბრძანონ!

— რომელ ვაუბატონზე ბრძანებ? — იწყინა უკვე შეფუთულმა და მართლაც სარდაფში ჩასატანად გამზადებულმა ნავთქურამ.

— შენზე! — მიუგო ჩაიდანმა.

— უჰ, შე მეტიარა, მანამდე არაფერი სვი და ადულე! კიდე გნახავ წყლით გაპიზინებულს, კიდეგ




ჩამივარ-  
დები ხედ-  
ში, — მოგდგები და  
გვერდებს შეგისურებ!  
ჩაიდანმა კი ამაზე უფრო  
გაიცირა:

— ვაი, შე მართა უბადრუკო, შე უპატრუქო ბებერო, გვერდების შესურებისა რომ მეშინოდეს, ჩაიდანიც აღარ ვიქნებოდი! შენგან შესურებულ გვერდებს კი რა ვუთხარი — ეს ორი დღეა გაწამებული გყავარ, მომდგები და მთელი საათი მასისინებ, მაწიწინებ და ძლივს ამადულებ... ადულემა გაზის ქურას მოჰკითხე, — წუთნახევარში მადულებს!

მაშინ კი ჩაფიქრდა ნავთქურა: მაგრამ ფიქრი ვინ აცადა — მუშებმა მოათავეს თავიანთი საქმე, ერთმა ფეხი წამოაჭრა ნავთქურას და კინაღამ სიცილით მოკვდა — ამას აქ რალა უნდაო...

ღიასანდისმა დაუძახა ღიას, ნავთქურა სარდაფში ჩაატანინა, თვითონ კი დაავლა ხედი ჩაიდანს, გაავსო წყლით და ქურაზე შემოედგა. ჩართო გაზი მუშამ, გაჰკრა ასანთს, გადაატრიადა ლიდაკი და ააბრიადა ქურა.

ხლდა რცხა ღია უკან ამობრუნდა, ორთქლში გახვეული ჩაიდანი უკვე დულდა, ჰქუნდა და ბუებუყვება:



— აი, ადულემაც ამას ჰქვია!  
აი, ადულემაც ამას ჰქვიაო!

ნახატები მ. სამსონაძისა



# ბთაში



ლ. მკლავაძე

მწყემსებმა დიდად გაიხარეს ზურიკოს მთაში ამოსვლით, კარგა ხანს არ დაიძინეს, გამოჰკითხეს ბარის ამბავი.

ლამით თოფის გრიალმა, კივილმა და სტვენამ გამოაღვიძა ზურიკო.

— რა იყო, პაპავ, ძაღლები რატომ აყეფდნენ ასე?

— არაფერია, შვილო,—ანუფეშა გიგო პაპამ,—შეიძლება ნადირი დაეცა ცხვარს და გასაფრთხობად თოფი დაახალეს.

დილით ცხვრების ერთობლივმა ბლავილმა წამოახტუნა ბიჭი ფეხზე. გაიხედა და მთელი ბაკი ცხვრებით გავსებული დაინახა. ცხვრებს ერთიმეორის ზურგზე გადაედოთ თავი და ნელა იცოხნიდნენ. მწყემსები მათ ცურებთან ჩაეცუტკულებიყვნენ, წველავდნენ. თბილრძის ხის კასრებში გაუღიოდა ჩხრიალი.

ზურამ მაშინვე შემოაღრბინა ბაკის

ლობეს გარშემო, მერე შიგაც ათვალიერა; მაგრამ თავისი ბატკანი ვერსად ნახა და გარეთ გამოვარდა.

— გიგო პაპავ, სად არის ჩემი ბატკანი, მგლებმა შეჭამეს?

პაპამ შეხედა გაბრაზებულ ბიჭს და გაეცინა:

— ბატკანი ბატკნებშია, შვილო, მეწველ ცხვართან რა უნდა? მთის წვერზე არიან, ყინულებთან.

— ყინულებთან? ხომ გაცივდება და მოკვდება, რატომ წაიყვანე იქ, რატომ?

— ბატკანი მთის წვერზე, ყინულებთან იმიტომ მიიჭავთ, შვილო, რომ იქ უფრო ქორფა ბალახია, თანაც უფრო გრილა და არ დაისიცხება. აი, როცა დიდი გაიზრდება ის შენი ბატკანი, აქ ჩამოვიყვანთ და მოვწველით კიდევ.

— ახლავე წავიდეთ, მაჩვენე, როგორ არის.

— დაიცა, შვილო, ყველს ამოვიყვან და მერე წავიდეთ,—შეჰპირდა პაპა.

ამასობაში მწყემსებმა ცხვარი მოწველეს და ისევ გარეყეს სამოვარზე. ქონში მხოლოდ გიგო პაპა და ზურიკო დარჩნენ. პაპამ ყველი ამოიყვანა, კვერეულები დახრილ ფიცარზე დააწყო დასაწყურად, თვითონ ნაბაღზე წამოიწვა და ზურას სთხოვა:

— მოიტა, სხვა ნაბაღიც დამაფარე, შვილო, რაღაც შემაცევა, ბარიდან თუ ამომყვა ცევაბა.

ზურიკომ აიღო, რაც ქონში ნაბაღები იყო, და ფრთხილად დაახურა.

— ცოტა მაინც დაეცლია ამ ოხერს,—ჩიოდა პაპა,—ვანშამს გავაკეთებდი, ამაღამ მშვიტები ღამირჩებთან მწყემსები.





რა ჯერ გაშტერდა, მერე უცებ გონს მოვიდა: დააგდო გულურა, თავის ლეკვს ზედ გადაეფარა და ცალი ხელით ქამრიდან წალდი გაიძრო. ფრინველმა ელვის სისწრაფით გადაუარა თავზე ძაღლსა და ბიჭს და კლდეებს იქით დაიკარგა.

— ალბათ, ეგ არის არწივი, ეგ წყეული! რაზე აქ არ ვიქნებოდი და მურას წამართმევდა. ნამდვილად შეეშინდა, მერე რომ დამინახა, თანაც წაღღს მოჰკრა თვალი!

და გაამყებულმა ბიჭმა გულურა ისევ მოიგდო ზურგზე.

როდესაც ტყიდან დაბრუნდა, ქოხთან ძია შაქრო დინახა, — ვირს ზურგიდან ორი ცხვრის ფეშვას ხსნიდა.

— რატომ დაიხოცენ, ძია შაქრო? — შეწუხდა ბიჭი.

— კლდეზე ქილაობდნენ და ძირს გადმოცვივდნენ ორივენი. აბა, რა აჩუბებდათ, ვერ ეტეოდნენ იმოდენა ადგილზე?

ნახატები მ. თოთიზაძის

დიღხანს იჯდა ზურიკო დაფიქრებულ-ლი, დიღხანს უმზერდა პაპას სიბრაღულ-ლით და მერე უცებ წამოხტა ფეხზე:

— მე გავაკეთებ ვახშამს!

პაპამ ჩაიცინა:

— შენ რა უნდა გავაკეთო, ბიჭო, შეშის მოტანაც ვერ მოვასწარი.

— შეშასაც მოვიტან. ოღონდ საიდან მოვიტანო?

— მანდვე, ფერდობზე რომ ტყე მოჩანს, იქ წადი. ძირს ეყრება ხმელი შეშა, მოჰკრაც არ დაგჰირღება. გულურის შესაკრავად კი თოკი წაიღე.

ზურამ ქამარში წალდი გაიყარა, აიდო თოკი, ლეკვს ყელზე ბაწარი შეხსნა, თან გაიყოლა და ტყისაკენ გასწია.

გალმა-გამოღმა იალაღები ცხვრის ფარებით იყო დაფარული.

მთელი ფერდობი აჭრელებულიყო ათასფერი ყვავილებით: ზოგან თეთრთავა გვირილა მოჩანდა, ზოგან ცხვირის სატეხელა ამოსულიყო ყვითელი ყვავილებით, ზოგან მთის ვარდი გადაშლილიყო, ხოლო ზოგან ბუჩქად ხარობდა მოცივი, ივლისში შავად რომ მწიფდება და საქმელად მეტად გემრიელია.

ზურიკომ ტყეში ძირს ნაყარი ხმელი შეშა მოძებნა, გულურად შეკრა და ის იყო მინდორზე გამოვიდა, რომ უცნაური შხუილი მოესმა. ვეება ფრინველი ტყვისავით ციდან ძირს ეშვებოდა. ზუ-



ბიჭი დაფიქრდა და თავის ქნევით დაუდასტურა:

— ჰო, ჩხუბი კარგი არ არის, ძია შაქრო.

ძია შაქრომ ხორცი ბოძზე ჩამოჰკიდა, ვირი წინ გაიგდო და ისევ ცხვარში წავიდა.

პაპამ თავი გააქნია სინანულით:

— აფსუს, რატომ კარგად არა ვარ, ერთი კობტად ჩამეყაურომებინა!

— მე გავაკეთებ ყაურმას, პაპავ, შენ იწვექი და კარგად გახდი, ხვალ ბატკნებთან უნდა წამიყვანო. აბა, მითხარი, როგორ გავაკეთო?

— კარგი, მაშე ერთი ბარკალი ჩამოაქვრ მგ ფეშხვას, მერე დაკუწე წვრილად და კარგად გარეცხე!

ზურიკომ ხანჯლით ბარკალი ჩამოქრა, დაკუწა და ისე გარეცხა, რომ წყალს კინალამ ხორცის ნაჭრებიც თან გააყოლა.

— ახლა რაღა ვქნა, პაპავ?

— ჩაყარე ქვაბში, ხახვიც დაარჩიე და წვრილად ჩააქერი შიგ. ზურიკომ იმდენი არჩია ხახვი, რომ თვალები აეწვა და სიმწრისაგან ცრემლები წამოსცივიდა. ცრემლი მოიწმინდა და ქვაბი ცეცხლზე შემოდგა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ პაპამ ჰკითხა:

— ხომ არ შეწითლებულა ჯერ ხორცი და ხახვი, შეილო?

— უკვე შეწითლდა!

— აბა, მაშე ერთი ლიტრა წყალი დაასხი ზედ!—კვლავ ასწავლიდა ნაბდების გროვიდან თავგამოყოფილი პაპა.

ზურიკომ წყალი დაასხა ქვაბს და კარგი მზარეულივით დასტრიალებდა თავზე კოვზით.

როდესაც საღამოთი მწყემსები ქობში მივიდნენ და ვახშობას შეუდგნენ, ყველამ დიდი კმაყოფილებით აღიარა, ასეთი გემრიელი კერძი ჩვენს სიცოცხლეში არ გვიქამიაო.

მწყემსები ცხვართან გაბრუნდნენ. ზურიკო პაპას შეუძვრა ნაბადში, მოეხვია და გაიტრუნა. ქობში ძიღმა დაისადგურა. იგი ნელ-ნელა მიეპარა ზურიკოს, ჯერ პაპას კარგად მიახუტა, მერე კი

ფრთხილად გადაიყვანა სიზმრების მხარეში, სადაც წყაროები და ნაკადულები ვერცხლისაა, იალაღები და სამოვრები ზურმუხტისა, ბალახში კი ოქროსმატყლიანი ბატკნები დაკუნტრუშობენ და მათში ყველაზე ლამაზი ზურიკოს ბატკანია.



# მკრეფი

ჩაის საკრეფად მოვედი,  
რა ვუყვით, რომ ვარ პატარა.  
თუ ყველას გაუხარდება,  
რად არ ვიშრომებ, რად არა?

მწკრივებს გავხედე, ყველანი  
ყოჩალი მკრეფავები;  
ახურავთ ჭიდის ქუდები,  
მზის სხივებს ეფარებიან.

კრეფენ და კრეფენ ჩვიდ ფოთოლს,  
თანაც მღერიან ხმატკობილად;  
მე ხომ თოჯინა არა ვარ,  
რომ ვიდგე სუდ ერთ ადგილას?

მეც. შემეძლია, ბუჩქებზე  
ავათამაშო თითები;  
როგორ მოვკრიფო ფოთოლი,  
უფროსებს დავაკვირებ.

აგერ, ავსებენ კალათებს,  
მერე სასწორზე სწონიან;  
იქ ჩემი წვდილიც იქნება,  
შრომა ხომ მოსაწონია!

ვეილწლის ღამლავს საქართველო-  
ში ორასი ათასი ჯონა ჩაის ფოთოლი  
გროვდება. მთელს ჩვენს პეიზაჟს აუ-  
ფა ქართული ჩაი.

ნახატი რ. ხაჩიკიძისა



# კონიერი განქანა



(ინჟინერ-კონსტრუქტორის ნ. შაილძის ნაამბობი)

აღბათ ბევრი თქვენგანი უოფილა ქარსანაში, კინოშიც გინახავთ, თუ როგორ მუშაობენ დასვეები და ჩარსები.

დასვეები ქსოვენ აბრეშუმის თუ შალის ქსოვილს, დასვაზე იკურება ფესხაცმელი, ჩარსი ამხადებს ავტომატის ან ტრანქტორის ნაწილებს და სხვა საჭირო ნივთებსა და სავანებს.

თქვენ ისიც იცით, რომ დასვეები და ჩარსები მუშა აბუშავენებს. აბა, უიმი-სოდ დასვა ან ჩარსი რას გააკეთებსო! — იტყვი თქვენ, მკერამ პოითინეთ, ჩემო

ნატარებო, თურმე შეიძლება დასვა ან ჩარსმა მუშის დაუსმარებლადაც იმუშაოს. აი ასე: მოვა მუშა, „დაარიგებს“ დასვას, თუ რა გააკეთოს, შემდეგ წავა და როდესაც დაბრუნდება, დასვა ან ჩარსი დამსადებულ სავანს დასვედრებს.


გაკვირდით? დიხს, საკვირველია, თითქოს ზღაპარში ხარ, აიღებ ნატარისთვალს, ინატრებ და განჩდება, რაც გინდა! ოღონდ ჩვენ რაც გიაბეთ, ზღაპარი კი არა, სინამდვილეა; ასეთი ჩარსები უკვე შექმნეს ქართველმა ინჟინრებმა და მალე დაიწყება მათი დამსადება.


ასლავე გიაბობთ, როგორ მუშაობს ეს ჩარსი:

## ნიკა, ჭანჭიკა და გეჟანიკა

ჭანჭიკამ თავისი მეგობარი ნიკა გამოფენაზე წაიყვანა. ნიკას ყველაზე მეტად მოეწონა მექანიკური კაცი. ერთხელ სასლში რალაცას ჩხირკედლოაობდა, მაგარამ ვერაფერს გახდა და ინატრა: — ეპ, ნეტავ მე მომცა ისეთი თანაშემწე, როგორ დამხმარებოდაო. — თქვა და ნატვრაც აუსრულდა: ჭანჭიკამ უმაღლ მოგვარა მექანიკური კაცი. დაქმაცადნენ ნიკა და მექანიკური კაცი. მერე რა მოხდა, თქვენ თვითონ გვიამბეთ.

შუადინა 3. ივანძვა





დება და ამ ამბავს ზარის წკრიალი აცნობებს მუშას, რომელიც შესთვალ ოთახში არსეინად ზის და გაცეთს კითხულობს.

რა ჭკვიანი კოლოფი ვოფილა, არა? მოდით, ვნახოთ, როგორ გუნდა იგი ადამიანმა გონიერი! განაცადარი არაფერი: კოლოფში ჩადებენ ქაღალდის ლენტს, იმგვარივე ვიწრო ლენტს, როგორიც ტელეგრაფის ანარატსეა სოლმე. ეს ლენტი ალაგ-ალაგ დაჭვრეთილია ნახვრეტებით. აი, სწორედ ამ ნახვრეტებზე არის დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს იმუშაოს ჩარხმა, რა მანძილზე გადაადგილოს საჭრისი, ირიაბდ თუ სივრემივ აათალოს ფოლადს კვერდი.




თეთიუელ ჩარხს დამაგრებული აქვს საგანგებო კოლოფი, რომელიც ჩართავს და ამუშავებს ამ ჩარხს, მიუძარჯვებს საჭრის ფოლადის ნაჭერს, საიდანაც რაიმე ნაწილი უნდა დამზადდეს. და აი, მუშაობაც კანაღდა: მუშების დაუსწრებლად, თავისით იჩარხება მანქანის თუნდა მატარა, თუნდა უსარმაზარი ნაწილი. თანაბრად, ზუსტად მოძრაობს საჭრისი და ლითონის უფორმო ნაჭერი თანდათანობით გადააქცია მანქანის ნაწილად.


სამუშაო შესრულებულია!—კოლოფი უმაღლე გამოერთავს ჩარხს, მუშაობა შეჩერ-

ქაღალდის ლენტი „ახსვენის, უბრძანებს“ კოლოფს, თუ როგორ იმუშაოს დასვამ.

საბჭოთა მეცნიერებმა ისეთი გონიერი მანქანები შექმნეს, რომ არა მარტო დასვამ, მთელი ქარხანაც კი თავისით იმუშავებს.

ნახატები ა. კანდელაკისა





შვილებელში ახალი ბავაში და  
პენაპაში ბაჟანაჟა სოჟოლათჟიკა-  
ჟეჟ ათჟს კჟჟჟჟჟ ჟჟართოჟჟა

# ბჟონარი

ი. ნოწაჟილი ნახატი ლ. ნოლიასი


იციტ, ღეღა-საჟართვეღს  
ბალნარს რატომ ეძახიან?...  
ჟვეღგან ღღაღ მღწირიადე  
ბაღია და ვენახია.



საჟართვეღს ოთხიე კუთხიე  
გაღაბმულა ვაბჟე ვაბი  
და ღამჟარხულ მწიფე მტეენენბს  
ღასტამაჟეღს სიღ ნაბი.

საჟართვეღს ოთხიე კუთხიე  
გაღაბმულა ბაღჟე ბაღი,  
მხიარული ჟრიაჟული  
და სიმღერა ისმის ღღლი.

საბაღედ და სავენახედ  
მიწა კიღეჟ უბჟედ არის.  
მაღე ვაბი და ხეხიღი  
გაჟენღეღა უთფაღაგი.

კღღეჟურნე ჟაღ-ჟეჟები  
ასე თავს რღმ უეღებიან,  
ბაღ-ბღსტანით, ბაღჩა-ბაღით  
მღჟარგული ვეღებია.





ერთი ასად მოგებლვება,  
თუკი კარგად გაირჯები.  
ტოტებს, ყვითლად დახუნძლულებს,  
გვთავაზობენ წარინჯები.

ყვედგან ღალად მოშრიადე  
ბაღია და ვენახია...  
აი, დედა-საქართველს  
ბაღნარს რატომ ეძახიან!



# ქვანში

## მ. პარაშივანი

გოგონამ ეზოში თამაშისას ხავერდით მბზინავი შავი ქვის ნატეხი დინახა, ხელი დასტაცა, მაგრამ იმწამსვე ზიზღით გადააგდო.

— ძვირფასი ქვა მეგონა, — გაიფიქრა და ახალთ-ახალი, თეთრი, გამჭვივარე ქაბა ჩაიბერტყა, ზედ შავი მტვერი დასცვენოდა.



აბა, რა იცოდა, რომ ეს შავი ქვა მართლაც ძვირფასი ქვა იყო, ხოლო ქაბა, რომელიც გაეთხუნა, სწორედ ამგვარი ქვისაგან იყო დამზადებული.

და განა მარტო თეთრი ქაბა? საეარცხელიც, ყოველ დღით თმას რომ ივარცხნის, კალმისტარიც, რითაც სწერს, აი, ამ შავი ქვისაგან არის დამზადებული!

რა ქვა არის ასეთი?

ეს არის უბრალო ქვანახშირი.

ქვანახშირისაგან მიიღეს ხელოვნური მატყლი, რომელიც ბამბაზე მსუბუქია და მატყლზე მკვრივია. ამ ხელოვნური მატყლისაგან ამზადებენ პალტოებს,





კოსტუმებს, საწვიმრებს, ფარდებს, კრაველს. ქვანახშირისაგან იღებენ ნეილონს, კაპრონს, წამალს, საპონს...


ქვანახშირი საწვავი მასალაც არის: მატარებლებსა და ხომალდებს ამობრავებს, ელექტროსადგურების ტურბინებს ამუშავებს, მადნიდან ლითონის გამოდნობაში გვეხმარება. ქვანახშირისაგან იღებენ საღებავებს, ნაფტალინს, ფისს, —სულ ოთხმოცდაათამდე სახის სხვადასხვა ნაწარმს.

მეცნიერები მომავალში ქვანახშირისაგან კიდევ მრავალ რასმე მიიღებენ. ამაში მათ დაეხმარება ქიმია. ქიმია მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელსაც შენ სკოლაში ისწავლი, როცა დიდი გაიზრდები.

ქვანახშირისაგან კაპრონის ძაფს სულ მალე რუსთაველიც დაამზადებენ, რისთვისაც იქ ახლა დიდი სააქროები შენდება.

738


# ჩაქუჩი ლურსმანი



ლურსმანს ვიღებ, ჩაქუჩს თავზე ვარტყამ ჩქარა-ჩქარა; ლურსმანი კი გადვინიჭა, განზე გადახარა. ვთქვი: არ ვარგა ეს ლურსმანი!... ხედი სხვებს მივყავი და სულ ყველას ისევე მივღვრიცა თავი. მაგრამ მაინც არ მოვეშვი, ვფიქრობ, კიდევ ვსინჯავ: ჩაქუჩს ვარტყამ ახალ ლურსმანს სწორად, ფრთხილად, დინჯად. ბიჭოს! ვხედავ, რომ ლურსმანი ჩაეჭედა ფიცარს: აღარც განზე გადახარა, აღარც მოღვრიცა. წაგზადისდი და ჩაქუჩი ისევე მოვიმარჯვე და ლურსმანი ჩავატედე ფიცარს სწორად, მარჯვედ!

ილია სინაპალიძე

**შვილწლადმი ქიმიური მკანალოგის ნა-  
ნაკრი საპართავლომი დაახლოებით ექვსჯარი  
გაიზრდება.**



მექანიკური  
კატეგორია

უქნარა  
ბიჭი



პიონერული სააეროპლანი გახედება  
 მხედანთაგანი საბავარო გყანასანი ზოლი.



# ბ ა ვ ა ბ ბ ბ

## X. ჩარაინი

მეგობრებო, ერთელ ტვეში  
 საკმე მოხდა იმგვარი:  
 მუხის ტოტებს დიკოდა  
 დათვი ტორებმაგარი,  
 ტოტი მოტედა,  
 დათუნაყ  
 შოადინა ბრაგვანი...  
 საიდანღე მანქანები  
 განდა წითელგრიანი,  
 ექიმებმა მუხის ტოტებს

შეურერეს ჭრილი.  
 შეტა ცივეი და მუხის ხეს  
 შეუტვია ჭრილობა,  
 გულს უხმენდა კოდალი და  
 მის შორჩენას ცილილობდა.  
 დათვი უხტებ აუენეს,  
 დაუწუნეს ზრდილობა.  
 გაკოლეს და გამოლანდებს,  
 შავრამ არ აპატებს,  
 და ნაცირა ურრეკვიტებმა


დათვი დაბავარეს.  
 \* \* \*  
 განთქმულია ეს დიდი ტვე  
 კიდვე ერთი ამბოია:  
 შეშოედნენ მელეები  
 თვალის კუცა-ნახვითა.  
 შელეობი... მელეობი...  
 დიდეობი და მომტარინი,  
 დანთეს და შატკვებს  
 ინთებული კოცობი.  
 ტვენ ხანძარი წეცოდა

ბრალით და ტკაცინით,—  
 შეხანძრეთა რაში ვანდა  
 და ჩაქერეს ხანძარი.  
 იმ გაქვეულ მელაკუდებს  
 დაეძვენენ კურდღლები,  
 დაიჭირეს მელეობი,  
 ჩამოაკიდეს კუდებით.  
 ამ დიდ ტვეში, შეგობრებო,  
 ტვენ შეტვებით სკოლასაც,  
 იქ ონავრებს ასწავლიან

ტუის შორწყვას და მოვლასაც  
 თხას, თხუნელას, ლორს  
 და შაზრას,  
 თაგუნას და ზაზუნას,  
 ვინც უყოველთვის ზეებს  
 ღრუნის და  
 ზეებისთვის არ ზრუნავს...  
 ერთელ, როცა თამ თითო ხეს  
 დაცალა ულორტები,  
 აჭვითინდნენ, აუთინდნენ

ნახატი პ. კანდელაკისა  
 ვახტევილი ტოტები...  
 გადმოსკუდა ზიდან ცივეი  
 და წასწრო ცანცარის.  
 ხის ტოტებზე ულორტის  
 გაცმელეს  
 წვერი სულ გაიკადა.  
 \* \* \*  
 მეც იმ ტვეში გავილექსეთ  
 ეს ამბავი პატარა,  
 და ჩახატა ცხოველები  
 ერთმა ში მხატვარმა.

6. 75/211



ცდის მხატვრობა ელთენის გ. კოინივილს

რედაქტორი იოსებ ნიკნეშვილი. სარედაქციო კალენარი: ი. გრიშაშვილი, პ. ტოკიაშვილი, მ. აფცხალა შრეველიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უმაღლესვილი, შ. ტხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) ბავსონების სცენარისტ-კომპოზიტორი ფანი შანი.

ტექ. რედაქტორი ი. აბდიშვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება

საბლიტაჟი. რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქაზბ. 91, ტელ. 2-37-38, გამზ. შავი, № 378, 1 სართ. შავი, № 1955 ტიპაჟი 130000 ხელმოწერილია დასაბუღად 29/VII 1959 წ. ჟურნალ დაბეჭდვის უფლებების უპირატესობა  
 Д. И. А.—советский детский журнал ЦК АКМС Грузии и Республиканского совета организации пионерских отрядов им. В. И. Ашани № 6, август, 1959 г., Тбилиси, Пресс. Печать № 91.